

# ნაპაღ ული

საყმაწვილო ჟურნალი



მცირე ფლორენათობის

საქართველოს  
საყმაწვილო

## ზ ი ნ ა ა რ ს ი:

1 მინდორში . . . . .	509
2 სოლიკოს მტრები . . . . .	512
3 მეჯლისი სოკოს ქვეშ . . . . .	515
4 საიდან წარმოსდგა მეელი . . . . .	519
5 ფერია . . . . .	521
6 სპილო და ეჭიმი . . . . .	526
7 სახალისო სამუშაო და გასართობი:	
ა) ქვიშის სათამაშო, ბ) გასართობი,	
გ) ახსნა . . . . .	529

### № XVIII

## ი კ ლ ი ს ი



## 1905

ტფილისი

ელექტრონის სკამა წიგ. გამოც. ქართ. ამხანაგობისა

1905



საქართველოს  
ხალხთა ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою 30-го іюля 1905 г. Тифлисъ

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხთა ბიბლიოთეკა



## მინდორში

ყანას თავი დაუსრობა,  
ტაღლასა სცემს ზედ ნიავი,  
მზემ მთის წვერი შეაშუქა,  
დრომა მოაქვს სსივოსანი!

დილის ნაბი მარგალიტად  
მოხუეობ მინდორ-ველსა,  
დეღაგს კორდი, დეღაგს ბორცვი  
და წურჩული გააქვს ტყესა!

იქ გაჭკივის მოლაღური,  
შაშვი უსტყენს, კენესს ბუღბული,  
„გუგუ!“ „გუგუ!“ ასე აძღვეთ  
მათ შორიდან ბანს გუგული!

და მომკალსაც არა სძინავს,  
შეკვალთილა შეომბრი,  
დრო მოვიდა, რომ მოიმკოს  
გუთნის დედის საჩუქარი!

სამჯური მკლავს უმძვენებს  
და სამკვდილი\*) განიერ მკერდს,  
ბასრი ნამკლით შერევა  
თვის ოჯახის სარწო-იმედს!

სელეური სელეურზე  
გადმოაქვს და იკრავს გულზე,  
თითქოს თავთავს ეფიცება  
თვის ჰორმტიცე სიუბარულზე!

ის წინ მიდის, ეანა უკან,  
კვერდზე გდია ბთეული.  
რა ჰურიან! რა თავთავი!  
საგანგებოდ არჩეული!

თანაც ფიქრობს: დაილოცოს  
ხარის ქედი მოამბეკე,  
უიმასოდ სულ ერთიან  
სომ დავიწვი დავიდაკე!

და გახედავს იქვე, ახლოს,  
თვის „ნიკორას“, თვის „კუდებრდას“,  
უხარიან, რომ სიამით  
ფშვინავენ და სმოვენ ბაღახს!

სასრით სელში კვერდზე უდგბთ  
მის ბიჭიკო, მისი ეანო,  
ცელქი ნატრობს: ნეტა მამას  
უანის მკაში დავეშვებანო!

\*) სამკვდილი—ტყავის პურანგი, რომელსაც მომკალი  
იცვამს მკის დროს. ავტ.

და ნამკლისა მბეიერად  
მოხარა და მოქნა სახრე,  
თუძცა ნანობს, რომ არა აქვს  
სამაჯური, სამკვდილ-სამხრე!

მაგრამ ასეც არაფერი  
უძავეს მომკალს ბაღახებზე,  
სან გვირილა იგლიჯება,  
სან ებუჩო კდია გვერდზე!

თანაც სარებს გადაჭსედავს:  
არ მოძოვონ იმათ ეხანა;  
ბიჭია და მეურმეა,  
არვინ იცით ეს თქვენ განა!?

მამ უფურეთ, საღამოზე  
ურძის თავზე ოროველას;  
რა ქნას, რომ არ დაესმაროს  
თავის მამას, მარტოხელას!

ისა მკის და ვახოს მიაქვს,  
ეზიდება ურძით სარჩოს,  
ვაძა, ვაძა, წმინდა ოფლისა!  
მინდვრის მუძას გაუძარჯოს!

ი. ევლოშვილი.





## სოლიკოს მტრები

„შვილო, ადექი გენაცვალე, სკოლაში წასვლის დროა, დაგაგვიანდება!“ — აღვიძებს მოსუცი დიდება ექვსი წლის შვილი-შვილს.

ბავშვი შეინძრა, სარმაცად რაღაცა წაიბსუკუნა და ხელა გაახილა შავი თვალები.

— ადექი, სოლიკო, ძაღვ რვის ნახვეარი შესრულდება, — უთხრა ოთახში შემოსულმა მამამ. სოლიკო ძარდად წამოჯდა ლოგინში, ჯერ ერთი გულიანად გაიხშორა, მოიფშენიდა თვალები და დაიწყო ჩაცმა.

ათი წუთის შემდეგ ჰირდაბანილი სოლიკო იდგა ხატის წინ და ძაღლა იმეორებდა დიდებისგან დასწავლილს ლოცვას: „ღმერთო, მიცოცსლე დედა, მამა, დიდება, მიძა, კარგი ჭკუა მომეცი, რომ კარგად ვისწავლო. ღმერთო, შენი ჭირიმე, ბატებს არ შემახვედრო“. ეს უკანასკნელი თხოვნა სოლიკომ ხურხულით წარმოსთქვა და ვედრებით შეაბურა თვალები მაცხოვრის ხატს. ამ თხოვნას უოველ დღე იმეორებდა ბავშვი, და თუძცა ისე დღე არ გავიდოდა, რომ სოლიკო ბატებისგან შეშინებული ტირილით არ ამოვარდნილიყო კიბეზედ, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ ერთხელაც იქნე-

ბოდა ღმერთი შეისმენდა მის ღოცვას და საშუალოდ მოსწონებდა ამ სამაგელს ბატებს.

ლოცვის შემდეგ დედამ ჩააცვა სოლიკოს ქალაქიდან მიტანილი ღამაში ღოსა თავის მორთულობით: ჰატარა შევერცხლილ მასრებით და კოსტა სანჯალით... სოლიკოს სისარულეს სახლვარი არა აქვს და სიამავეით იეურება ახალ სამოსელზე.

— მშვიდობაში, შვილო, დედამამის სიცოცხლეში! — მიესალმა დიდება და გადაჭკოცნა შვილი-შვილი.

— დიდება, შესე, რა სანჯალია, ისეთი ბასრია, რომ ხელს ვერ დააკარებ.

— აბა, შვილო, კინძლო ეკ დირსეული იარა დირსეულად ატარო. ცუდად არ იხმარო, მტერსაც გულადად დაუსვდი, — გაესუშრა მოსუცი.

ამ სიტყვებმა უცბად მოაგონეს სოლიკოს თავისი მტრები.

— ესლა კი მიფრთხილდნენ! — წამოიფიქრა ბავშვმა და შურდულივით გაუარდა ოთახიდან.

რა მსიარულად მირბის სოლიკო სკოლიდან! რუს რომ მიუახლოვდა, ნაბიჭს უკლო, ქუდი გაისწორა, მოიძარჯვა სანჯალი და ეოზადად გასწია წინ. „ნეტავ არ მინდა, მოვიდნენ, სულ კუდით ქვას ვასროლინებ!“ ფიქრობს ბავშვი და შიშით აკვირდება რუს მწვანე ნაპირს, სადაც ბატები ბანაობის შემდეგ ისვენებდნენ.

„არ არიან!“ — თავისუფლად ამოიხვნეშა სოლიკომ და გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. უცბად მღვალ ბაღასიდან გამოიშმა ბატის ეივინი; ამას ბანი მისცეს სსეებმაც და ფრთოსანთა რაზმი გამოიფინა ნაპირზე. ბავშვი შესდგა. ბატებმა შეამჩნიეს სოლიკო და ბავშვავით, საშინელის სისინით გასწიეს მისკენ. სოლიკოს გული უცანცაყებს, მუსლთ ევეთება. სადღაა მისი გულადობა, ამაუი სასის გამოქრეველება. ერთი ესლა ახსოვს,



რომ არ უნდა გაიქცეს, თუ არ უნდა, რომ სამუდამოდ მისწავ  
რად ასაგდები განდეს. ბატები ჩქარა მიუახლოვდნენ და ფრთუ-



ბის ტაცატკუციით გარს მიესვივნენ. აი ერთმა კიდევ ჩაავლო  
გმელი ნისკარტი სოლიკოს ჩოხის კალთას, ბავშვი გაფი-  
თრდა, ეოველივე მოსაზრობა დაჰკარგა, თბლებ დაჰგვეტილი  
უახროდ ატრიალებდა სელში ჰატარა ხანჯალს.

უცბად გაშვირილ სელზე იკრძნო ბატის ბასრი ნისკარტი.  
აქკი ვეღარ შესძლო გძირმა. გაბგდო სელიდან ხანჯალი და  
ღრიალით გაიქცა სასლისკენ. უკან კი სისინით მიხდევდა ძლევა-  
მოსილი ჯარი.

— ჰეი, შე ლახარო, იარაღი როგორ დახეუე მტერსა,  
ჰა?— მოესმა მტირალს ბავშუს მიძის სმა, რომელიც დიდი-  
სანია გადმომდგარიყო აივანზედ და სიცილით თვალს ადევ-  
ნებდა ბავშვის გაჭირვებულ მდგომარეობას. გულგახეთქილი  
სოლიკო ძლივს დაამშვიდეს.

ესე გაუმხამდა საწყალს ბედნიერად დაწეებული დღე.

თ. ფ—ლი.







## მეჯლისი სოკოს ქვეშ

(რუსულით)

**ქ**ოთხელ რამდენმავე მწერმა ზირობა დასდო მეჯლისი გაუმართათ. წაუდნენ მოხერხებულ ადგილის საძებნად და ერთ ვეება სოკოს სიახლოვეს შენიძნეს საუსცხოვე ადგილი.

დანიძნულ დროზედ შეიკრიბნენ მწერნი, მაგრამ მეჯლისი კინაღამ უბედურობით გათავდა: არაფერმა არ შეუწეო სელი მათ მსიარულებას, ცაცკი მამინ მოიღრუბლა და დაიწეო წინწყელა.

მწერი არ უნდოდათ მეჯლისის ჩაძლა, დაეზარათ სასლში დაბრუნება და სოკოს შეაფარეს თავი.

მეჯლისისთვის მწერთ ბლომად მოიყარეს თავი. სსვათა შორის მოვიდა ჭრიჭინა თავის ჭიანურით, მოცოცდა ჭინჭეკლა, ხარაბუსა, ციცინათელა თავის სანათით და ლოკოკინა.

რასაკვირველია, ეველას გული დასწედა, რომ ავდრის გამო მეჯლისი ისე ბრწეინვალედ ევლარ ჩაივლიდა, მაგრამ რას იზამდნენ. ეველამ ერთად მოიყარა სოკოს ქვეშ თავი და ელოდნენ, როდის გამოიღარებდა.

მაგრამ ამაოდ. ეტეობოდა, თუ სრულიად არ ჩაქმლებოდათ მეჯლისი, დიდხანს მინც მოუსდებოდათ ცდა, რადგან წვიმა იმათ უურადლებას არ აქცევდა და არსეინად მოდიოდა გრილ წინწყელებად ძირს.

მაბეზრდათ მწერთ ამდენი ლოდინი და სთხოვეს ჭრიჭინას, ჭიანური მინც დაუკარ, რომ გული გადავაყოლოთ და მოწეინილობისაგან არ დავექმინოსო.

წრიჭინამაც დიდის სიამოვნებით შეასრულა მათი თხოვნები. მოძარბა ჭიანური და ისე ხელოვნურად დაუკრა, რომ ყველა ფეხები აუთამაშა. ციცინათელამ, ჭიანჭველამ და ხარაბუსამ კვლარ მოითმინეს, გაძლეს ფრთები და სამივემ ერთად დაიწყეს ცეკვა. ლოკოკინაპი შორეულად წამოსწევდა და დაუწყო ცეკვა, იმას თითონ არ უნდოდა თამაში, რადგან არ უყვარდა, სამაგიეროდ უხაროდა და სტეკებოდა სხვების მხიარულებით.




იმ დროს სრულიად შემთხვევით მათ სიანლოვეს ბაუებს მოუსდა გავლა.

მეტად სასიხლარი, შურიანი და ბრახიანი რამ იყო ბაუაი. მის ბოროტებისგან არა ერთი და ორი იყო შეწუსებული.

ბაუაემ აათვალიერა აათვალიერა მომხიარულენი და არ მოეწონა. გაბრაზდა, ისწკუზა, შესტა სოკოს ქვეშ და მრისხანედ შესძახა:

— ჰბი, თქვე არამხადა მოუსვენრებო, თქვენა! მე გინვენებთ თქვენ სვირს! მე გასწავლით თქვენ თამაშს! ვინ მოგცათ ნება, რომ ჭიანურს აჭევიტინებთ და თამაშობთ, შერე ისიც ჩემ საკუთარ სოკოს ქვეშ!

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ბავშვების ოთახში შეძროვარ-  
დეს ლომი და დაიწეოს დრიალი. უეჭველად ბავშვები დაწე-  
ოკდებიან. ჭო და ჩვენ შწერთაც სწორედ ისე მოუვიდათ. სა-



ცოდავებს ისე შეეშინდათ, რომ სულ თავებს დაჭკარკეს. ჭიანჭველას გული შეუწუსდა, ციცინათელა თავშირის მტვრევით ბალახებისკენ გაქანდა და შიშისაგან სულგანაბული მცენარე-  
ების ძირს მიეკრო. სარაბუსა გულადმა გადავარდა და უგრობო-  
ლად ფეხებს აფართხალებდა. ლოკოკინა საცოდავად მოიკუნტა,  
შემერა თავის ბუდეში და განძრეფასაც კი ველარ ბედავდა. ჭრიჭი-  
ნას ჭიანჭური ხელიდან გაუვარდა, გაუტედა და ისე შეეშინდა, რომ  
გაქცევაც კი ველარ მოახერხა. სოკოს კი ეწეინა ბაეაისკან ესე  
თავსედად მისი დაჩემება და გაჯავრებული მოუბრუნდა:

— არ ვიცი, დემრთმანი, საიდგან წარმოიდგინე, რომ მე  
შენი ვარ! სრულიადაც არა ვარ შენი და არც არავის სხვისი!  
მე ჩემ თავად ამოველ და თვითონვე ვიკვებავ თავს, მამასა-  
დაძე, არც არავის საკუთრებას არ შევადგენ.

— ჩემი ხარ, მამ არ იცი! განა არ გესმის, მე უბედურო,  
რომ შენ ჩემთვის მეტად საჭირო და მოხერხებული ხარ?! და  
ამ საბუთით შემიძლიან დაგინემო კიდევც! — შეჭვირეა გაბრახე-  
ბულმა ბაეაემა.



აქ კი ვეღარ მოითმინა სოკომ, ბრძნი მიყრია და მისი მხარეში წაიღო. მლიერ აკანკალებდა, რომ ღერომ ვეღარ შეიძებრა, მოტედა და მთელის თავის სიმძიმით ბაყაეს დააწვა...

დასწვევლას ღმერთმა! წარმოიდგინეთ, არის ამისთანა ადამიანი, როგორც ეს ბაყაე: სუეველას გუნება გაუფუჭა, გაჭყანტა, სოკო მოსტეხა და თვითონაც ხეიროს ვერაფერს შეკვარა... და ეოველივე ეს იმიტომ მხოლოდ, რომ სსვები მხიარულეებდნენ მაშინ, როდესაც ის ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა...





## საიდან წარმოსდგა მკელი

(ამერიკული ზღაპარი)

**მ**რთხელ ტეის დიდი მკელი და მინდვრის ჰატარა მკელი დარბოდნენ და სასუსნს ეძებდნენ. თავიანთ საკბილო ვერა შესვდათ რა და ძრეულ დაიძმნენ. ბოლოს შენიძნეს ქოხი, საიდანაც მოხრაკულ ირმის სუნი ეცათ. ისე ძრეულ მოუნდათ ირმის ხორცი, რომ უოველივე შიში დაჰკარგეს.

— რა არის, — სთქვა მინდვრის მკელმა, — რომ ვსთხოვოთ და გაგვიძახინებდნენ?

ქოხში სცხოვრობდნენ კეთილი ინდოელები. მკლებმა სთხოვეს, რაჲ გვაჭამეთო, და ისინიც გაუმძახინებდნენ; ბინაც მისცეს ქოხში ღამის განათევად.

მეორე დღეს მინდვრის მკელმა სთქვა:

— რა კარგია აქ ცხოვრება! ძლიერ აღფრისანად გვექცევიან და ჭამა-სმაც კარგი იციან. დავრჩეთ ამ კეთილ საღესთან.

— კარგი! — უთხრა ტეის მკელმა.

ინდოელები ჰირველად სედავდნენ მკლებს და გაუსარდათ როდესაც მკლების დარჩენა გაიგეს.

— იცხოვრეთ ჩვენთან, ჰატარა საკუთარ ქოხსაც ავიძენეთ, — უთხრეს ინდოელებმა.

სანამ ინდოელები ქოხს აშენებდნენ, ტეის მკელმა მთელს სოფელს შემოურბინა და რაც ხორცი ნახა, სულ მოიტაცა, მერე დაძალა დიდ ქვის ქვეშ და უთხრა მინდვრის მკელს:



— როდესაც ეველანი დაიძინებენ, მოვიტაცოთ სორცის  
გავიქცეთ ტყეში.

— არა, ვერე არ ივარგებს,— უთხრა მინდვრის მკელმა,—  
ჩვენთვის ეგ დიდი სირცხვილი იქნება: ესენი ასე აღერსიან-  
ნად და გულკეთილად დაგვიხუდნენ, გაგვათბეს და დაგვაძლეს,  
ჩვენკი უნდა მოვატყუოთ. არა, არ ვარგა, გირჩევ იქვე წაი-  
დო ეგ სორცი, საიდანაც მოიტაცე.

ტყის მკელს არას გზით არ უნდოდა სორცის დაბრუ-  
ნება.

მინდვრის მკელმა ეს ამბავი ინდოელებს გადასცა და ტყის  
მკელი გააძევეს სოფლიდან.

მინდვრის მკელი ინდოელებთან დარჩა და ძაღლად გადა-  
იქცა, ტყის მკელსკი დღესაც ტაციობაზე უჭირავს თვალი  
და, საცა მოასწრებენ, სცემენ და სდგნინან.

ოლეგ ბეჟანიშვილი.





# ფერია

(თარგმანი)

სკერ ერთი კვირა შესრულდა, რაც ჰატარა ჰეტო და ანიკო სოფელში მივიდნენ. სოფელში ჰირველად იყვნენ და იმათ სისარულს სახლვარი არა ჰქონდა. ბავშვებმა ძლივს თავისუფლად ამოიხუნთქეს; მთელი დღე ბაღში, ტეეში და მინდორში დარბოდნენ; ჰკრუფდნენ ევაგილებს, აკეთებდნენ თაიგულებს, იჭერდნენ სხვა და სხვა მწერებს, ნამეტნავად ემტერებოდნენ ჰეპლებს.

ბავშვები მთელ დღეს მარტოდ-მარტო ატარებდნენ: მამა დილა-ადრინა ჰელაქს მიდიოდა და გვიან ბრუნდებოდა, გამდელი არა ჰქუდათ და დედას კი იმათთვის არ უცალა: საქმე ჰქონდა და სახლში ფათურობდა. მსარეული არა ჰქუდა და სადილსაც თითონ ამზადებდა. გარდა ამისა, იმასა ჰქუდა კიდევ ჰატარა, მუძუმწოვარი ბავშვი, რომელსაც ერთ წუთს თავს ვერ ანებებდა.

დედა, ცოტა არ იყოს, შეწუხებული იყო ბავშვების მართობით, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, სასლში დაამწყვდეკდა, გადაჭკოცნიდა დილით ბავშვებს და ამ სიტყვებით გაისტუმრებდა:

— ჭკვიანად ითამაშეთ, შვილებო, არ წაინსუბოთ!

ბავშვებიც სიტყვას აძლევენ და მაშინადვე თავიანთ საუფარეო კორდისკენ გაექანებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ დედამ შენიშნა, რომ ბავშვები უოველ საღამოს რაღასაც ეწურსულებოდნენ ერთმანეთს.

— აი, დღეს ჩვენ ჭკვიანად ვიუბუით და ისიც არ გაგვჯავრებია!— ამბობდა სიამოვნებით ანიკო.

— ჩემს დღეში აღარ დაგიძახებ სულელს, თორემ ძალიან მიჯავრდება და სულელს შეძახის!— უძახუნა ჰეტომ.

დედამ უური მოჭკრა იმათ ლაპარაკს და დაუწყო გამოკითხვა: ვინა შედავენ და ელაპარაკებიან ტყეში.

— ის, დედა, შორს, მთების იქით სცხოვრობს და იქიდან გველაპარაკება; მხოლოდ ორი სმა აქვს: როდესაც ჩვენ ერთმანეთთან ტკბილად ვთამაშობთ, ისიც ალერსიანად გვეწერობა; და როდესაც ვწსუბობთ, მაშინ ისიც გვიჯავრდება.— იმის გაჯავრებულ კილოს მოგონებასე, ბავშვებს თვალები ცრემლებით ავესოთ.

დედამ ვერაფერი გამოარკვია ბავშვების ლაპარაკიდან და მაძს დაეკითხა, როგორ მოქცეულიყო.

— სწორე ვითხრა, მეც ვერაფერი გამოვიცა: აქ ასლო მასლო მცხოვრები არავინ არის და ვინ უნდა ელაპარაკებოდეთ? ჩემის აზრით უმჯობესია ჯერჯერობით თავი მივანებოთ ბავშვებს, რადგან „ის“ ვიდაც არის, ცუდს არაფერს ასწავლის.

მეორე დღეს ბავშვები საშინლად დადონებულები დაბრუნდნენ სასლში.



დედას შეკმინდა და დაუწყო გამოკითხვა, რა დაგეგმობოდა.  
 ბავშვებმა თავი ველარ შეიკავეს, ჩამოეკიდნენ დედის ვისკერს  
 ზედ და დაიწვეს ტირილი.

— დედა, დედა! „ის“ დღეს ძალიან გაგვიჯავრდა! მე და  
 ანიკო წავიწხებეთ, და ასე გკითხნა:

„მე თქვენ დღეის იქით აღარ მიუვარებითო!“

— ვინ არის, შეილო, „ის“? ვინ გელაპარაკებთ აგრე?  
 ბავშვებმა მიიხედ-მოიხედეს, სასესედ საიდუმლო გამო-  
 მტყვევლება მიიღეს და, დაბაღის სმით, ჩასწურწულეს დედას:

— ეს, დედა, საიდუმლოა, ნურავის ეტყვი! ჩვენ იმას  
 ვკითხეთ: „ეს საიდუმლოა?“ და იმანაც გვიპასუხა: „საიდუმ-  
 ლოაო“... ფერიაა, დედა, ნამდვილი ტუის ფერიაა! ერთხელ  
 ვკითხეთ: „შენ ვინა ხარ! ფერია?“ და იმანაც გვიპასუხა:  
 „ფერიაო!“

— და დღეს კი, — დაუმატა ანიკომ, — ჰეტომ ძალიან გამა-  
 ჯავრა და გაბრაზებულმა დაუუვირე: „მე შენ აღარ მიუვარნარ-  
 მეთქი!“ ამასე ფერია გაჯავრდა და დაძივირა: „აღარ მიუვარ-  
 ხარო.“

დედა ესლა კი მიხვდა, საქმე რაშიც იყო, და მზიარულად  
 მიუბრუნდა ბავშვებს:

— შეიძლება თქვენ ფერიანს მეც გამოველაპარაკო? სომ არ  
 გაჯავრდება?

ამ სიტყვებით დედამ ჰეტარა ბავშვი ხელში აიყვანა, ჰეტო  
 და ანიკო წინ გაიძლო და გასწია ფერიასთან სამუსაიფოდ.

— აბა, ჰეტო, დაეკითხე ფერიანს, შეიძლება იმასთან ლაპა-  
 რაკი?

ჰეტომ თავი ძაღლა აიღო და წკრილა სმით დაიძახა:

— ფერია, დედას უნდა შენთან ლაპარაკი და შეიძლება?

— შეიძლება! — გაიძმა სმა.



პეტო გასარებული მიუარდა დედას:

— წამოდი, წამოდი დედა! კეთილი ფერია აპრონის, „შეიძლება“.

დედა მიხვდა, რომ შეიძლება ისარგებლოს ფერიის სიტუაციით, გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი და დაეკითხა:

— კეთილო ფერიავ, ჩემი შვილები დილას ცუდად მოიქცნენ?

— ცუდად მოიქცნენ!—გაისმა ნაწი და სასიამოვნო სმა.

— იცი, ჩემო ფერიავ, რომ ამათ თავიანთ საქციელისა ძალიან რცხვენინათ?

— ძალიან რცხვენინათ!..

— მამ ანატებს და შეურიკდები?

— შეურიკდები.

— დღეის იქით აღარ წაინსუბებინ და ეკვარებათ ერთმანეთი.

— ეკვარებათ ერთმანეთი...

— მამ დღეის იქით უფრო შეიკვარებ ბავშვებს და აღარ გაუჯავრდები?

— აღარ გაუჯავრდები

დედამ ბავშვებს გადახედა: ისინი, სინარულით თვალზე გაბრწინებულნი, შესცქეროდნენ დედას.

— რა ბევრს და კარგ კილოზედ გელაპარაკება, დედილო!— შესძახეს ბავშვებმა.


ამ დროს პატარა ბავშვს ძილი მოერიდა, დაიწყო ტირილი, და დედა იძულებული იყო სახლში წაეკვანა.

— ახლა კი, შვილებო, მე მინ მივდივარ. გახსოვდეთ, რომ ფერია თავის დღეში აღარ გაგუჯავრდებათ, თუ თქვენ ერთმანეთს არ წაინსუბებით!

— აღარ წავიხსუბებით, დედა, აღარა! რა კარგად მესმის,  
დედილო, რომ ფერიას შევხვეყე ეპატებინა და შეკვირე-  
ბოდა...

და მართლაც ამის შემდეგ ბავშვებს ფერია აღარ გასჯა-  
ვრებია.





## სწილო და ექიმი

ჩემი ძმის რიშარის ძოლოდინში ვიყავ, როდესაც მომივიდა დეპუტა ცირკის პატრონის ბარნუძისა, რომელსაც ძალიან სწამდა ჩემი ექიმობა, რადგან არა ერთხელ მოვუწოდებე პირუტყვები. დეპუტაში მწერდა: „ჭებეს ჭრილობა აქვს ფეხში, ძალე მოდიოთ“.

ჭებე უშველებელი საუცხოვო ძვირფასი სწილო იყო. მე, ცოტა არ იყოს, ვერა ვბუდბუდი მის წამლობას, რადგან ძნელი სანდობი იყო მისი მიკარება. მაგრამ ჩემმა ძმამ გაძაბედვინა და ერთად წავედით. სადგურსე დაგვსვდა თითონ ბარნუძი თავის ეტლით და მშვენიერ ცხენებით. მომესალმა და მითხრა:

— სულ ველარ მოვიფიქრე, რომ აგრე პატარა ტანისა ხართ. მუშინან, ვაი თუ ჩემს სწილოს ვერ მიუდგეთ.

— ბატონო ბარნუძე, — ვუპასუსე მე, — თუ საჭიდაოდ მიგვევართ სწილოსთან, მკონი, ერთი არშინი სიმაღლეც რომ მომიძატოთ, არას მიშველის.

გაიცინა და მიაძბო:

— სწილომ ფეხი დაადგა ლურსმანს და ფეხის გული გაიფუჭა; ისე აწუსებს, რომ ტკივილისაგან აღარ იცის რა ჭქნას.

ჯერ არ შევსულიყავით სწილოსთან, რომ მისი უვირილი მოგვესმა. რომ შევედით, სამფესე იდგა, მეოთხეკი აკვანჭურებინა

და კენესით იქნეკდა. საშინელი მწუსარება ესატებოდა თვალებში, საბრალლო ზირუტეკს! ჩემმა მამა უკან დაიწია და მისთვის, როგორ მიუდგები, მოკვლამსო; მაგრამ სწილოს მოძველელმა გამამხნევა,—ნუ გეძინიანთ, ბატონო, ჰქებე ჭკვიანი და არას გაუნებთო.

— უნაღ, — მითხრა გამხნევებით ბარნუმმა, როდესაც იარაღის მხადებას შეუდგექ. უნდა კი გამოგიტყდეთ, რომ კრძალვით ვუხსლოვდებოდე ამ დიად ზირუტეკს. ცირკის მსახურნი მოურიდან გულმოდგინედ კვადვენებდენ თვალს. დიდის სიფრსილით დაჟუწვევ სინჯვა სწილოს ფესს. შიშის ქრუანტელმა გამიბინა, როდესაც სწილომ თავისი სორთუმი თავსე დამადო, მაგრამ ისე ფრთხილად, თითქოს ნახი ქალის სელი შემსებოდეს.

— ნუ გეძინიანთ, — მითხრა მისმა მცხველმა, — ვე მაგისი აღერსია.

— უნდა გავუჭრა და ღრმად დაუტარო ნესტარი, — ვუბახსუხე მე.

მოძველელმა თავის ენახე დაუწყო სწილოს რაღაც ლაზარაკი; მერე მე მომიბრუნდა:

— შეუდექით თქვენს საქმეს!

მისმა სიმშვიდემ გამამხნევა, მით უფრო რომ წინ უდგა უსარმაზარ სწილოს და დაევაკებით რაღასაც ესაუბრებოდა. მეც ჩავურჭე ნესტარი და თან ვიგრძენ, რომ თქები ცოტათი მომწია. ცივმა ოფელმა დამასხა.

— კიდევ შეიძლება გავუჭრა! — ძლივს წამოვიღულულუდე.

— შეუდექით! — გაბედულად მიზახსხა მოძველელმა.

მეც, როგორც რიგია, დაჯვარ ნესტარი და გამოვურწვე. შევუსვიეთ ფხი ტილოთი და, ეტეობოდა, მაშინვე დაუცხრა ტკივილი, რადგან ვიგრძენ, ავადმოუფმა მომამორა სორთუმი და შევებით ამოისუნთქა ადამიანივით. შემდეგ აღარა მახსოვს-



რა, რადგან გული წამივიდა. მკონი რიშარმა წამოკრიჭნ ჩქში იარაღი და მეც გამიყვანა.

წელიწად ნახევარს უკან ბარნუში თავის ცირკით მოვიდა ჩვენს ქალაქში. რასაკვირველია, მინდოდა შემეტეო ჩემი ავად-მყოფის ამბავი.

— ჭებე კარგად არის, — მითხრა მისმა მცველმა, — შედით დიდად. ასიამოვნებს თქვენი ნახვა.

— როგორა! — ვუპასუსე მე. ძალიან კი მსურდა შემეტეო, მინცნობდა თუ არა, და შევბედე შესულა.

სწილო იდგა ძველებურად მშვენიერი და კარგად მყოფი. ჯერ უურადლება არ მომაქცია, მერე დამაცქერდა და დამიწყო გულმოდგინედ სინჯვა. ბოლოს დამბდო თავისი სორთუმი მხარსე ნიშნად აღურსისა, ნახად გადმისვა სორთუმი თმებზედ, რითიც მომაგონა წარსული წამები. მასუკან წუნარად აიღო სრულიად მორწენილი ფესი და მჩვენა.

ყოველივე ეს ნამდვილად მოხდა ამერიკაში.

ა. ამილახვრისა.






# სასაღისო სამუშაო და გასარი ობი

კვირის სათაბაზო.

პრიელ სასაღისო თაშუესაქცევა ეს საამსანაგო სათამაშო. ბეგრს სიცილს და სიმსიარულეს ჰბერის იგი არა თუ მარტო უმაწვილებს, არამედ დიდრონებსაც კი, თუ კი ისინი უმაწვილებში ჩაერევიან და მათთან ერთად ითამაშებენ.

საამსანაგო სათამაშოდ როცა მოუსხდებიან ძაგიდას, შუაგულ ალაგას დააგროვებენ ერთიბეწო სუფთა ქვიძას ანუ, თუ ქვიძა არ იშოვება, ნაცარს. შუაგულ ნაცარში ჩარჭობენ ჩხირს, როგორც აქ არის ნახვენები ნახატში. მოთამაშეებს მხად უნდა



ქთანდეთ ხელში კაღები ტარით, ანუ უტაროდ; მიღებებიან და რიგრიგით კაღმის წვერით ქვიძის ალეხას დაწვეებენ—ვისაც რამდენი უნდა, სულ ერთია, ოღონდ ცოტა მაინც აიღოს.

რაკი ქვიშა თან და თან ცოტავდება, რასაკვირველია, ჩნდება  
 საძირკველში ძალა აკლდება და ბოლოს წაიქცევა კიდევ უფრო  
 რიგზედაც ჩნირი დაეცემა, უკანასკნელი დამნაშავეც ის არის,  
 და ამისათვის ჯაფაც იმან უნდა გასწიოს, რომ ცოტ-ცოტად  
 ეველას წინ დაგროვილი ქვიშა მოკრიბოს და მოაგროვოს  
 შუაგულ მაგიდაზედ, ჩნირიც სელ-მეორედ ჩაურჭოს, რათა თა-  
 მაშობა სელახლად დაიწიონ.

ვ. ნ.

### ზ ა ს ა რ თ ო ბ ი

ერთი ინგლისელი ეწვია სადილად ჩინელს. მრავალი სხვა  
 და სხვა საჭმელი მიართვეს და ბოლოს შემწვარი. ინგლისელს  
 ეს შემწვარი ძაღლის ხორცი ეგონა, რადგანაც ჩინელები  
 სჭამენ ძაღლს. მაგრამ ენა არ იცოდა; მიუთითა თავის მასწი-  
 ნძელს შემწვარზე და ჰკითხა: „ამუ... ამუ...“ ჩინელმა გაიქნია  
 თავი და იმ გვარადვე უპასუხა: „მიაუ... მიაუ!“

### ა ხ ს ნ ა

მეთექვსმეტე ნომერში მოთავსებული რეზუსი არის: „მიეცით  
 ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა, ღირსება!“

გამომცემელი კნ. ნ. ე. ქობულაშვილისა.

რედაქტორები { კნ. ე. ერისთავისა.  
 ნ. ზურაბიშვილისა.





საქართველოს  
ხალხთა ბიბლიოთეკა

